

სარჩევი

შესავალი	2
წევრები	3
საერთაშორისო წარმომადგენლობა	4
ბანაკვებები	5
ლიცენზირება	6
ჰონორარის შეგროვება	10
ჰონორარის განაწილება-გადახდა	14
საზოგადოებრივი ცნობიერება	16
საჭაროობა-გამჭვირვალობა	17
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია	18
სამომავლო გეგმები	18

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის საქმიანობა 2017 წელს მრავალმხრივი აქტიურობით გამოირჩეოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის კუთვნილი კომპეტენციის ყველა მიმართულებით. ასოციაციაში განვევრიანების პროცესის მზარდი ტენდენცია აღინიშნა როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლების მფლობელთა მხრიდან. ასოციაცია აქტიური იყო სხვადასხვა სეგმენტის ლიცენზირების კუთხითაც. პონორარის შეგროვების სფეროში ასოციაციის შემოსავალმა, ისევე როგორც გასულ წლებში, გადააჭარბა წინა წლის შეგროვების მაჩვენებელს. შესაბამისად, გაიზარდა განაწილებული და გადახდილი პონორარის ოდენობაც.

2 ასოციაცია, წლის განმავლობაში, ჩართული იყო არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროექტში. საერთაშორისო პლატფორმებში აქტიური მონაწილეობის გზით, ასოციაცია მონაწილეობას იღებს საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის სფეროში არსებული გამოწვევების განხილვასა და გადაწყვეტის გზების მოძიება - დანერგვაში. ამასთან, დაგროვებული პრაქტიკის ყველა დაინტერესებული პირისთვის გაზიარების მიზნით, პერიოდულად გამოიცემა საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ბევრ საინტერესო და პრაქტიკულ ინფორმაციას შეიცავს.

საერთო ჯამში, ასოციაცია, როგორც წინა წლებში, კვლავ ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას რეგიონში საქმიანობის განვითარებისა და პროგრესის კუთხით.

გასული წლის განმავლობაში ასოციაციის რეპერტუარის ზრდის პროცესი საკმაოდ აქტიური იყო, არამარტო ახალი უფლების მფლობელების განწევრიანების, არამედ წევრი უფლების მფლობელების მიერ საკუთარი ნაწარმოების რეგისტრაციის კუთხითაც.

წლის განმავლობაში ასოციაციამ ასევე წარმატებით განახორციელა ინფორმაციის სისტემატიზაცია და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზებში.



2017 წლის წლის ბოლოსთვის ასოციაცია ითვლის 1698 ადგილობრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს.

2017 წელს გაფორმდა ახალი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან. ჯამში გაფორმდა 7 ხელშეკრულება, საიდანაც 2 ხელშეკრულება დადებულია საავტორო უფლებების სფეროში და 5 - მომიჯნავე უფლებების სფეროში.

საავტორო უფლებების სფერო

SABAM - ბელგია

CopyRUs - რუსეთი

მომიჯნავე უფლებების სფერო

AIS - ბოსნია და ჰერცეგოვინა

CPRA Geidankyo - იაპონია

EEL - ესტონეთი

ULASP - უკრაინა

ROSVOIS - რუსეთი

სულ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასოციაციას გაფორმებული აქვს 172 ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის, 4 მილიონზე მეტი საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელის რეპერტუარს.

2017 წლის ივლისში, ასოციაციასა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც, ბიზნეს სექტორის აქტიური ჩართულობით, მოხდა საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტების სარგებლობისათვის არსებული განაკვეთების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაციის ფარგლებში განაკვეთებში შევიდა ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მოსარგებლეთა სტიმულირებას და ლიცენზირების გაფართოებას.



ასოციაციის საქმიანობა მოსარგებლეთა ლიცენზირების კუთხით განსაკუთრებით აქტიური იყო 2017 წელს. წლის განმავლობაში ლიცენზიები გაფორმდა სხვადასხვა სეგმენტის მიმართულებით. გარდა ადგილობრივი მოსარგებლეებისა, ასოციაციამ შეძლო იმ საერთაშორისო მოსარგებლეების ლიცენზირებაც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ავრცელებენ საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებს. შედეგად, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნეტის სახით საჯარო გავრცელებისათვის გაფორმდა ლიცენზია YouTube-თან. ასევე დასრულების პროცესშია მოლაპარაკება Yandex Music-თან იმავე სახის ლიცენზიის გაფორმებასთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდება 2018 წელს, კომპანიის საქართველოს ბაზარზე შემოსვლასთან ერთად.

ლიცენზირების საერთო მაჩვენებელი



ლიცენზირების მარკენაბელი თვეების მიხედვით

	თბილისი	რეგიონები	ჯამი
იანვარი	32	13	45
თებერვალი	57	8	65
მარტი	70	25	95
აპრილი	54	14	68
მაისი	49	25	74
ივნისი	38	22	60
ივლისი	23	26	49
აგვისტო	42	27	69
სექტემბერი	60	19	79
ოქტომბერი	69	11	80
ნოემბერი	53	7	60
დეკემბერი	33	4	37

ლიცენზირების მარკენებელი საგმენტების მიხედვით



ლიცენზირების პარალელურად, ასოციაცია საავტორო ქონებრივი უფლებების მართვას სასამართლოს მეშვეობითაც ახორციელებს. ასოციაცია აწარმოებს დავებს ისეთ მოსარგებლეებთან, რომლებიც ნებართვის გარეშე იყენებენ საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებებს და ექვემდებარებიან ლიცენზირებას, ასევე, ისეთი მოსარგებლეების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ არსებული ლიცენზიის პირობებს.



ასოციაციის მიერ, აქტიური ლიცენზირების ფონზე, 2017 წელს შეგროვებული ჰონორარი დაახლოებით 12%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.


ჰონორარის შეგროვების საერთო მაჩვენებელი



ჰონორარის შემოღების მარკინგული თვეების მიხედვით

იანვარი	213 787.24	ივლისი	321 799.02
თებერვალი	372 773.81	აგვისტო	358 049.84
მარტი	399 341.35	სექტემბერი	366 771.58
აპრილი	316 625.88	ოქტომბერი	469 562.25
მაისი	339 060.62	ნოემბერი	345 842.30
ივნისი	326 437.26	დეკემბერი	730 619.74

ჰონორარის შემოღების მაჩვენებელი სემინტების მიხედვით



ჰონორარის შებრუნების მაჩვენებელი
საზღვარგარეთის კარტნიორი
ორგანიზაციების მიხედვით

ACUM (ისტრაელი)	1 521.19	SACD (საფრანგეთი)	7 821.70
ADAGP (საფრანგეთი)	29 915.94	SACEM (საფრანგეთი)	949.53
AKKA/LAA (ლატვია)	3 281.44	SGAE (ესპანეთი)	1 639.16
ARMAUTHOR (სომხეთი)	193.84	HANS SIKORSKI (გერმანია)	13 726.02
BALASHOV ANDREI BORISOVICH (რუსეთი)	1 487.75	SOFAM (ბელგია)	9 547.28
GEMA (გერმანია)	14 225.82	SPA (პორტუგალია)	5 420.66
JASRAC (იაპონია)	3 633.04	STIM (შვედეთი)	1 690.27
KODA (დანია)	2 173.58	SUISA (შვეიცარია)	4 036.93
LATGA (ლიტვა)	424.34	UACRR (უკრაინა)	5 230.62
MESAM (თურქეთი)	2 220.60	UCMR (რუმინეთი)	12 871.96
NUOVO IMAIE (იტალია)	391.30	UNP (ბელორუსია)	5 705.53
OSA (ჩეხეთი)	302.95	WEIT MEDIA (რუსეთი)	2 391.64
PRS (დიდი ბრიტანეთი)	2 112.65	BLOGMUSIK S.A.S.U. (საფრანგეთი)	1 215.54
RAO (რუსეთი)	28 026.81	GOOGLE IRELAND LIMITED (ირლანდია)	18 608.43
		OGILVY ADVERTISING (დიდი ბრიტანეთი)	3 268.76

2017 წელს, ასოციაციამ საავტორო უფლების მფლობელთა კუთვნილი ჰონორარის განაწილებასთან ერთად, აქტიურად დაიწყო მომიჯნავე უფლების მფლობელებზე ჰონორარის განაწილების სისტემის დანერგვაც.

ასოციაციის მიერ მოხდა საზღვარგარეთის პარტნიორ ორგანიზაციებთან მომიჯნავე უფლების მფლობელთა მონაცემების ურთიერთგაცვლა, რისი შედეგობითაც უნდა განხორციელდეს ჰონორარის განაწილება. 2018 წელს, ასევე იგეგმება შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საბჭოს (SCAPR) მიერ შემუშავებულ, შემსრულებლების საერთაშორისო ბაზაში (IPD) ინტეგრირება, სადაც უკვე სრულად აღირიცხება ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა კოლექტიურ ორგანიზაციებში განეწილებული შემსრულებლების შესახებ.

სრულყოფილად ფუნქციონირებდა ასოციაციაში დანერგილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამა VERICAST-ი, რომლის მიშვებობითაც საერთაშორისო ბაზებში ინტეგრირდა ქართული ნაწარმოებები. ამ ინფორმაციის მოხმარებას არამართო საქართველოს, არამედ მსოფლიოს 50-ზე მეტი კოლექტიური მართვის ორგანიზაცია შეძლებს, რაც გააადვილებს მათ მიერ ქართული რეპერტუარის ამოცნობას და ჰონორარის განაწილებას. პროგრამა შექმნილია ესპანური კომპანია Bmat-ის მიერ და იგი უზრუნველყოფს 11 ქართული ტელეარხის ეთერში გასული მუსიკალური ნაწარმოებების ამოცნობას.

ჰონორარის ბადახდის სამართო მაჩვენებელი

სულ ბადახდილია 2 057 538.73 ლარის ჰონორარი	ადგილობრივი 639 ნეკრისთავის ბადახდილია 1 156 293.56 ლარი	საზღვარგარეთის 29 კოლექტიური მართვის ორგანიზაციისთვის ბადახდილია 901 245.17 ლარი	სახელმწიფო ბიუჯეტში ბადახდილია 595 877.91 ლარი დღგ-ს და 508 868.71 ლარი საშემოსავლო ბადახდახდის სახით
---	---	---	--

ჰონორარის გადახდის მარკვენაბელი
საზღვარგარეთის კარტნიორი
ორგანიზაციების მიხედვით

OSA (ჩეხეთი)	3 686.07	RAO (რუსეთი)	114 618.57
UCMR - ADA (რუმინეთი)	1 683.31	SACD (საფრანგეთი)	4 287.28
AAS (აზერბაიჯანი)	290.63	SACEM (საფრანგეთი)	62 572.08
AKM (ავსტრია)	1 720.11	SACM (მექსიკა)	1 606.39
AMRA (აშშ)	2 454.02	SAYCO (კოლუმბია)	4 337.13
ASCAP (აშშ)	209 309.44	SESAC (აშშ)	9 762.44
BMI MEMBERS (აშშ)	173 390.67	SGAE (ესპანეთი)	18 226.25
BUMA (ჰოლანდია)	5 439.13	SIAE (იტალია)	24 600.47
GEMA (გერმანია)	48 581.68	STIM (შვედეთი)	15 963.06
IMRO (ირლანდია)	1 879.16	SUISA (შვეიცარია)	7 475.55
JASRAC (იაპონია)	4 943.08	TEOSTO (ფინეთი)	919.80
KODA (დანია)	3 341.19	TONO (ნორვეგია)	1 624.30
MESAM (თურქეთი)	13 412.07	UACRR (უკრაინა)	468.00
PRS (დიდი ბრიტანეთი)	161 860.07	UBC (ბრაზილია)	2 121.14
		ZAIKS (კოლონეთი)	672.08

ასოციაცია გასულ წელსაც აქტიურად იყო ჩართული საავტორო და მომიჯნავე უფლებების კუთხით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ჩატარდა ტრეინინგი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორებისათვის, რომლებიც ახორციელებენ გადამუშავებული ნაწარმოებების შექმნას. ტრეინინგზე განხილული იქნა გადამუშავებული ნაწარმოების სამართლებრივი რეგულაციები და მისი დაცვის მექანიზმები.

გაიმართა შეხვედრა ბიბლიოთეკების წარმომადგენლებთან ლიტერატურული ნაწარმოებების მფლობელობაში გადაცემის (Public Lending) სფეროს ლიცენზირების მიზნით. მოსარგებლებს მიენოდათ ინფორმაცია კანონის მოთხოვნების და ლიცენზირების მექანიზმების შესახებ. განხილული იქნა მათი რეკომენდაციები და სფეროს ლიცენზირებისათვის საჭირო სხვა საკითხები. ამ სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიება დაიგეგმა 2018 წლის აპრილში. მითითებულ პერიოდში, ასოციაცია, რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) ფინანსური დახმარებით და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გამართავს სემინარებს ბიბლიოთეკებისა და გამომცემლებისთვის.

აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) დაფინანსებით, 2017 წლის სექტემბერში, ქალაქ ბათუმში, ჩატარდა ყოველწლიური სემინარი მოსამართლეებისა და ჟურნალისტებისათვის. ღონისძიების ერთ-ერთი თანაორგანიზატორი და სემინარის პროგრამის განმახორციელებელი ასოციაცია გახლდათ.

ევროპის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საზაფხულო სკოლის ფარგლებში, ივლისის თვეში, გაიმართა კონფერენცია საავტორო უფლებების დაცვისა და კოლექტიური მართვის სფეროში, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე ევროპის სხვა ქვეყნების სტუდენტებიც. ასოციაცია, ერთობლივი პროექტების და ღონისძიებების განხორციელების კუთხით, კვლავ

აქტიურად თანამშრომლობდა საავტორო უფლებების რეგულირების სფეროში ჩართულ სახელმწიფო ორგანოებთან (კულტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, საქპატენტი, კომუნიკაციების კომისია და სხვა).

ასოციაცია კვლავ აქტიურად იყო ჩართული საავტორო უფლებების სფეროს მედით გაშუქების პროცესში. მონაწილეობდა სხვადასხვა საინფორმაციო და შემეცმებით გადაცემასა თუ სიუჟეტში. საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა უკეთ ინფორმირების მიზნით შემუშავდა „უბის წიგნაკი“, ასევე მედიაში ცნობიერების ამაღლებას მიზნით - საინფორმაციო ბუკლეტი ჟურნალისტებისთვის.

საჯაროობა-გამჭვირვალობა

ასოციაცია კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვას. მისი საქმიანობა ყოველთვის ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასოციაციის ყველა წევრს შეუფერხებლად და უმოკლეს ვადებში მიეწოდება ინფორმაცია მათი კუთვნილი ჰონორარის შეგროვება-განაწილების და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ. ინფორმაციის სრული და ოპერატიული მიწოდება ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

საჯაროა ასოციაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია, (წესდება, განაკვეთები, დებულებები და ა.შ.) რომელიც განთავსებულია ასოციაციის ვებ გვერდზე. ხელმისაწვდომია საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ანგარიში წარედგინება ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს, იგზავნება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებში და თავსდება ასოციაციის ვებ გვერდზე.


ასოციაციის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში პერმანენტულად თავსდება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ.

გასულ წელს, საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციის, ავტორთა და კომპიუტერთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) გადანაცვებით, დაიგეგმა აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სფეროში საერთაშორისო კომიტეტის საქართველოში ჩატარება. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის 80-მდე წარმომადგენელი. კომიტეტი 2018 წლის შემოდგომაზე ჩატარდება.


სამომავლო გეგმები

ასოციაციას, 2018 წელს, დაგეგმილი აქვს გააგრძელოს აქტიური საქმიანობა კოლექტიური მართვის ყველა მიმართულებით და გააფართოვოს სარგებლობის ბაზარი, რაც, პირველ რიგში, გამოიწვევს როგორც შვედეთში, ასევე გადახდილი ჰონორარის გაზრდას. ამასთანავე, ასოციაციას დაგეგმილი აქვს, ახალი და არააქტიური სემინარების ლიცენზირების მიზნით, ინტენსიური მუშაობის დაწყება. ასოციაცია გეგმავს კვლავ აქტიური იყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხითაც. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მიღწეული პროგრესის პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნებას.


წევრთა რაოდენობა



შეგროვებული ჰონორარი



ბადახდილი ჰონორარი



ბადახდილი ჰონორარი ნაგროვებ რაოდენობის მიხედვით

